112-ის დროით...

№26
ოქტომბერი, 2015

ბელარუსის შს მინისტრის მოადგილე 112-ს ესტუმრა
(გვ.4)

ჰაფასტროფის რისკის შემცირების დღე
112-ის მონაწილეობით (გვ.6)

112-ის ფრონტ ცენტრი
(გვ.7)

რედაქტორი ლიკა ალადაშვილი

ნომერზე მუშაობდნენ: თეა გზირიშვილი, სოფო ალექსიძე, ნატალია გელაშვილი,
მარიამ ჯმუხაძე, ჰენრიეტა ელიაური, მარიამ კიკნაძე,

დიზაინი თეა კუპრაძე

ბელარუსიის შს მინისტრის მოადგილე 112-ს ესტუმრა 83.4

112-ს ბულგარეთის რესპუბლიკის დელეგაცია ეწვია 83.5

ჯატასტროფის რისკის შემცირების დღე 112-ის მონაწილეობით 83.6

112-ის ტრენინგ ცენტრი 83.7

112-ის საინფორმაციო ბანერები სასაზღვრო გამშვებ პუნქტებზე განთავსდა 83.8-9

ტყეში დაკარგული ახალგაზრდების შესახებ შეტყობინება 112-ში შემოვიდა 83.10

112-ში შემოვიდა შეტყობინება, რომ მეთევზეები მდინარიდან ვეღარ ახერებდნენ გამოსვლას 83.10

საქართველოს 112 წარდგენილია ნომინაციაზე - „საუკეთესო ინოვაცია" 83.11

83.12-13 ჯატარა გმირები

83.14 უსინათლო ძაღლმა გოგონა სიკვდილისგან იხსნა

83.15 „ყველაფერი დავკარგე რაც მებადა, მაგრამ მთავარი მისი გადარჩენა იყო"

83.16 AERION SKYRANGER - დრონი კვამლის გასაქრობად

83.17 რობოტი ჰიცით

83.18-19 უზარმაზარი კომპოზიცია სახელწოდებით - „მოქცევა"

83.22-21 ხანძრები, გამომწვევი მიზეზები და შედეგები

83.22 ზარები 911-ში...

ბელარუსის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე 112-ს ესტუმრა

2015 წლის 27 ოქტომბერს, შსს-ს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრ 112-ს, საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფი, ბელარუსის რესპუბლიკის შს მინისტრის მოადგილე, ალექსანდრე კობრუსევი ეწვია. სტუმრებმა ქვეყანაში მოქმედი გადაუდებელი დახმარების ერთიანი ნომრის - 112-ის ფუნქციონირების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიიღეს.

ბელარუსის შს მინისტრის მოადგილეს და დელეგაციის წევრებს 112-ის დირექტორმა გიორგი ბიჭაშვილმა პირადად დაათვალიერებინა ოპერატორების სამუშაო გარემო. სტუმრები დააკვირდნენ ზარის მიღებისა და შეტყობინების დამუშავების პროცესს.

შეხვედრაზე მხარეებმა ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავების მნიშვნელობაზე ისაუბრეს და 112-ის სამომავლო გეგმებითა და სამსახურის მიერ დანერგილი სერვისებით დაინტერესდნენ.

აღსანიშნავია, რომ ბელარუსის დელეგაციის ვიზიტის მთავარი მიზანი იყო საქართველოს შსს-ს აკადემიასა და ბელარუსის შსს-ს აკადემიებს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ხელმოწერა. მემორანდუმის მიზანია კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სფეროში ორი ქვეყნის აკადემიას შორის პარტნიორული ურთიერთობების გამყარება.

ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, ბელარუსის დელაგაცია ასევე გეგმავს შსს-ს სხვადასხვა უწყებაში ვიზიტს.

112-ს ბულგარეთის რესპუბლიკის დელეგაცია ეწვია

2015 წლის 15 ოქტომბერს, საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფი ბულგარეთის რესპუბლიკის ვიცე-პრემიერი და შს მინისტრი - რუმიანა ბაჩვაროვა შინაგან საქმეთა სამინისტროს 112-ის დეპარტამენტს ესტუმრა.

ბულგარეთის რეპუბლიკის დელეგაციის წევრებს, საქართველოს შს მინისტრმა გიორგი მღებრიშვილმა და 112-ის დირექტორმა გიორგი ბიჭაშვილმა გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრი - 112 პირადად დაათვალიერებინეს.

ბულგარეთის რესპუბლიკის შს მინისტრს და დელეგაციის სხვა წევრებს საშუალება მიეცათ, ადგილზე გაცნობოდნენ 112-ის ოპერატორების მუშაობის სპეციფიკას და დაკვირვებოდნენ ზარის მიღებისა და შეტყობინების დამუშავების პროცესს. სტუმრები 112-ის სამომავლო გეგმებით და სამსახურის მიერ დანერგილი სერვისებითაც დაინტერესდნენ და მასპინძელმა მხარემ აღნიშნული ინფორმაცია პრეზენტაციის სახით წარმოადგინა.

აღსანიშნავია, რომ 15 ოქტობერს საქართველოსა და ბულგარეთის რესპუბლიკის შს მინისტრებმა ხელი მოაწერეს ორ ქვეყანას შორის შეთანხმებას „საქართველოსა და ბულგარეთის რესპუბლიკას შორის საგანგებო სიტუაციებისგან დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“. შეთანხმება მიზნად ისახავს საგანგებო სიტუაციების სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავებას და ამისთვის შესაბამის სამართლებრივ საფუძველს ქმნის.

შეხვედრის დასასრულს, ბულგარეთის რესპუბლიკის ვიცე-პრემიერსა და დელეგაციის წევრებს 112-ის წარმომადგენლებმა სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს.

კატასტროფის რისკის შემცირების დღე 112-ის მონაწილეობით

2015 წლის 13 ოქტომბერს, ასოციაციამ „სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის“ (RDFG) კატასტროფის რისკის შემცირების საერთაშორისო დღის აღსანიშნავად სავაჭრო ცენტრ „აი ჯი მოლი საბურთალოს“ ტერიტორიაზე საინფორმაციო ტიპის აქცია გამართა.

ღონისძიება თბილისის სკოლების ახალგაზრდულ კლუბებთან და გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრ - 112-თან ერთად ჩატარდა. იგი მიზნად ისახავდა საზოგადოებისათვის ცნობიერების ამაღლებას სხვადასხვა სახის საგანგებო სიტუაციაში აუცილებელი ქცევის წესების შესახებ, რათა გადაარჩინონ საკუთარი და სხვების სიცოცხლე.

ასოციაცია მსგავსი ტიპის აქციებს „სამხრეთ კავკასიის რეგიონში კატასტროფის რისკების შემცირების ღონისძიებების მდგრადობის უზრუნველყოფის“ პროექტის ფარგლებში ECHO-ს და UNICEF-ის მხარდაჭერით საქართველოს მასშტაბით მართავს.

ღონისძიება 112-ის საინფორმაციო ბუკლეტების გავრცელებას, სხვადასხვა სახის იმიტირებულ თამაშსა და წარმოდგენას მოიცავდა. ასევე, საზოგადოებას კიდევ ერთხელ მიეწოდა ინფორმაცია 112-ის ახალი სერვისის შესახებ, რომელიც ყრუ და სმენადაქვეითებულ პირებს მოკლე ტექსტური შეტყობინებითა და ვიდეო ზარით ცენტრთან დაკავშირებას საშუალებას აძლევს.

112-ის ტრენინგ ცენტრი

2015 წლის, სექტემბერში, შსს სსიპ 112-ში ოპერატორების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ტრენინგ ცენტრი ჩამოყალიბდა.

აღნიშნული ცენტრის ტრენერებსა და 112-ის თანამშრომლებს, 6-9 ოქტომბერს, ორგანიზაცია „განათლებისა და მართვის გუნდმა“ ტრენერთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსი ჩაუტარა.

პროგრამა უზრუნველყოფს საბაზისო სწავლების ცოდნის ამაღლებას და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას, რის საფუძველზეც ტრენერი შეძლებს, 112-ის ოპერატორებისთვის საჭირო სწავლის პროგრამის შემუშავებას, სახელმძღვანელოს შექმნას, პრეზენტაციისა და ტრენინგის განრიგის გაწერას.

ტრენინგის მონაწილეებს, 112-ის დირექტორის მოადგილემ, თეა გზირიშვილმა და ორგანიზაცია „განათლებისა და მართვის გუნდის“ დირექტორმა, პავლე თვალიაშვილმა სერტიფიკატები გადასცეს.

112-ის საინფორმაციო ბანერები გამშვებ პუნქტებზე განთავსდა

112-მა საინფორმაციო ბანერები სასაზღვრო გამშვებ პუნქტებზე განათავსა. აღნიშნული ბანერების განთავსების მიზანია, არარეზიდენტების ცნობადობის ამაღლება, რათა ქვეყანაში შემოსულ ადამიანებს მარტივად მიეწოდოთ ინფორმაცია საქართველოში მოქმედი გადაუდებელი დახმარების ერთიანი ნომრის - 112-ის შესახებ. ბანერზე განთავსებულია ინფორმაცია, თუ სად უნდა დარეკონ როდესაც საჭიროა პოლიციის, სახანძრო-სამაშველო ან სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადის გამოძახება.

საინფორმაციო ბანერების განთავსება რამდენიმე ეტაპად განხორციელდა. პროექტის პირველ ეტაპზე საინფორმაციო ბანერები ბაკურიანსა და გუდაურში განთავსდა, მეორე ეტაპზე ბათუმში, ქობულეთში, სარფში, გონიოში, შეკვეთილში, ურეკსა და მესტიაში, მესამეზე კი რაჭაში, იმერეთში, სამცხე-ჯავახეთში, კახეთში, მცხეთა-მთიანეთსა და ქვემო ქართლში განთავსდა.

გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრი - 112 აღნიშნული ბანერების განთავსებას მთელი საქართველოს მასშტაბით გეგმავს.

ლაგოდეხის ნაკრძალი

სადახლოს გამშვები პუნქტი

ბათუმის პორტი

ყაზბეგის გამშვები პუნქტი

ქუთაისის აეროპორტი

ნიოფლი ხიდის გამშვები პუნქტი

ბათუმის აეროპორტი

ტყეში დაკარგული ახალგაზრდების შესახებ შეტყობინება 112-ში შემოვიდა

112-ში, 25 ოქტომბერს, შემოვიდა შეტყობინება, რომ ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ყოროლის თავზე, მტირალას ტყე-პარკში ოთხ ახალგაზრდას გზა აებნა და უკან დაბრუნებას ვეღარ ახერხებდნენ.

შეტყობინება ოპერატიულად გადაეცა საპატრულო პოლიციას და შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს. შეტყობინების მიღებისთანავე დაიწყო სამძებრო სამუშაოები.

რთული რელიეფის გამო, ვერ ხერხდებოდა სატრანსპორტო საშუალებებით გადაადგილება და მაშველები დაკარგულებს მთელი ღამის განმავლობაში ეძებდნენ.

ჩატარებული ღონისძიების შედეგად, ოთხივე ახალგაზრდა ტყიდან უვნებელი გამოიყვანეს.

112-ში შემოვიდა შეტყობინება, რომ მეთევზეები მდინარიდან ვეღარ ახერხებდნენ გამოსვლას

112-ში შემოვიდა შეტყობინება, რომ სამტრედიის რაიონის სოფელ ბაშში, მდინარე რიონიდან 4 მამაკაცი გამოსვლას ვეღარ ახერხებდა. მეთევზეები სათევზაოდ იყვნენ შესულები, როდესაც მდინარე ადიდდა. აღნიშნული შეტყობინება, ოპერატიულად გადაეცა შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს და მაშველებმა მეთევზეები უვნებლად გამოიყვანეს.

საქართველოს 112 წარდგენილია ნომინაციაზე - „საუკეთესო ინოვაცია"

112-ის SMS და ვიდეო ზარის სერვისი ყრუ და სმენადაქვეითებული პირებისთვის, წარდგენილია ევროპის საგანგებო ნომრის ასოციაციის (EENA) ყოველწლიურ დაჯილდოების ცერემონიალზე, ნომინაციაში „საუკეთესო ინოვაცია". ცერემონიალი ჩატარდება ქ. პრაღაში, 2016 წლის 6-8 აპრილს.

EENA საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც 1999 წ. შეიქმნა, ქ. ბრიუსელში და 80-ზე მეტი ქვეყნის 1000-მდე გადაუდებელი დახმარების სფეროს წარმომადგენელს, 15 საერთაშორისო ასოციაციას/ორგანიზაციას, ევროპარლამენტის 150-ზე მეტ წევრსა და 70 მკვლევარს აერთიანებს.

ასოციაციის მიზანია, ევროპის მასშტაბით გადაუდებელი დახმარების ერთიანი ნომრის - 112-ის დანერგვა და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურების ეფექტური მუშაობის ხელშეწყობა.

საქართველო ევროპის საგანგებო ნომრის ასოციაციის (EENA) ოფიციალური და სრულუფლებიანი წევრი 2013 წლის, 3 სექტემბერს გახდა.

ჰაბარა გმირები

ჩარლი სიმპსონი,

7 წლის

ჩარლიმ ჰაიტიზე მომხდარი საშინელი მიწისძვრის შემდგომ, დაზარალებულთა დასახმარებლად ასეთი რამ მოიფიქრა: მან საკუთარ ველოსიპედს აბრა მიამაგრა წარწერით: „მე ჩარლი სიმპსონი ვარ, ვაგროვებ ფულს ჰაიტის მიწისძვრით დაზარალებულთა დასახმარებლად. ამ ფულით ვიყიდით წყალს, საკვებს და კარვებს.“ ასეთივე სახის განცხადება დადო ერთ-ერთ ვებგვერდზეც. საბოლოოდ ბიჭმა, რომელსაც 500 ფუნტი სტერლინგის მოგროვება უნდოდა, 120 000 ფუნტი სტერლინგი მოაგროვა შემოწირულობების სახით! თანხა დაზარალებულთა დასახმარებლად გადაირიცხა.



მადი მაკრეი,

11 წლის

ძლიერი წვიმის შედეგად, გზის სავალი ნაწილი დაზიანდა, მიწა ჩამოიშალა და გზაზე მოძრავი მანქანა, რომელშიც მადი იმყოფებოდა დედასთან და ორ მცირეწლოვან დასთან ერთად, მდინარეში

გადავარდა. მანქანამ ჩაძირვა დაიწყო. გოგონა სწრაფად გამოძვრა მანქანიდან, ნაპირამდე ცურვით მიაღწია, ხის ფესვებს მოეჭიდა და წყლიდან ამოძრომა შეძლო. სირბილით მიაღწია უახლოეს ფერმამდე, გადაახტა მავთულხლართს, რომელშიც ელექტრო დენი გადიოდა, დარეკა 911-ზე და მაშველები გამოიძახა. ისინი ოპერატიულად მივიდნენ შემთხვევის ადგილზე, სასწრაფოდ ამოიყვანეს მანქანა წყლიდან და შიგნით მყოფი ადამიანების გადარჩენა შეძლეს.

კოდი მაკინისი,

5 წლის

კოდიმ სამი წლის ძმა ცეცხლ-მოკიდებული სახლიდან გამოიყვანა და სიკვდილს გადაარჩინა.

პატარას ეძინა, როცა ხანძარი გაჩნდა, დედამ ვერ მოახერხა ბავშვამდე მისვლა, რადგან ის ამ დროს სახლის მეორე ნაწილში იმყოფებოდა და ცეცხლი მასსა და საძინებელს შორის გაჩნდა, რომ არა 5 წლის კოდი, პატარა კვამლისგან გაიგუდებოდა.

წყარო: www.ibigdan.livejournal.com

უსინათლო ძაღლმა გოგონა სიკვდილისგან იხსნა

ნორმანი ერთი წლის იყო, როდესაც ახალმა პატრონმა ძაღლების თავშესაფრიდან წამოიყვანა. რამდენიმე თვის შემდეგ ძაღლი დაბრმავდა.

- „ის უსინათლოა, თუმცა ძველებურად ხალისიანია და ჩემს ხმაზე ყოველთვის რეაგირებს“ - აღნიშნა ძაღლის პატრონმა.

ერთ დღეს, როდესაც ნორმანი და მისი პატრონი მდინარის პირას სეირნობდნენ, ძაღლს წყლიდან ყვირილის ხმა მოესმა. ის მაშინვე გაიქცა მდინარისკენ, გოგონა ნაპირზე გამოსვლას ვერ ახერხებდა და იხრჩობოდა. ნორმანი წყალში შევარდა, თუმცა გაუჭირდა მისი მოძებნა სიბრმავის გამო.

- „მე დავუძახე გოგონას, რომ მისთვის ნორმანი დაეძახა, ძაღლმა ხმის მიმართულებით გაცურა და მართლაც შეძლო ადამიანის გადარჩენა, მე ვამაყობ მისით!.“ - ამბობს ნორმანის პატრონი.

წყარო: www.theyoungbangalorepost.com

„ყველაფერი დავკარგე რაც მებადა, მაგრამ ჩემთვის მთავარი მისი გადარჩენა იყო...“

მაღაზიიდან სახლში დაბრუნებულმა მარკმა, უეცრად შეამჩნია, რომ მისი სახლის ფანჯრიდან კვამლი გამოდიოდა. ის მაშინვე სახლისკენ გაიქცა, სადაც თავისი ძაღლი, სახელად დიჩი, იმყოფებოდა. ინციდენტი მოხდა როტერფორდში (ავსტრალია), სადაც მარკ ბუდნერი თავის 4 წლის ძაღლთან ერთად ცხოვრობდა.

„როცა ჩემი სახლი კვამლში დავინახე, ძალიან შემეშინდა, რადგან დიჩი სახლში იყო. არც კი დავფიქრებულვარ, ისე შევვარდი სახლში. საკუთარ თავს არ ვაპატიებდი, ძაღლი რომ დამწვარიყო.“ - ამბობს მარკი.

მარკს ორჯერ უკან დახევა მოუწია საშინელი კვამლისა და ცეცხლის გამო. მესამე ცდაზე შეაღწია და ძაღლი სამშვიდობოს გაიყვანა. დიჩი უგონოდ იყო, ექიმების თქმით, მან ბევრი კვამლი ისუნთქა. საბედნიეროდ, პოლიცია, მეხანძრეები და ექიმები შემთხვევის ადგილზე დროულად მივიდნენ.

მარკი მადლობას უხდის ყველა იმ ადამიანს, ვინც მისი ძაღლი გადაარჩინა: - „სასწრაფო დახმარება დროულად რომ არ მოსულიყო, ჩემი დიჩი დღეს ცოცხალი არ იქნებოდა. მადლობელი ვარ ამ ადამიანების.“ - ამბობს იგი.

- „დავკარგე ავეჯი, ტანისამოსი, უამრავი საჭირო ნივთი, თუმცა, ბედნიერი ვარ, რომ ჩემი ძაღლი გადარჩა. ეს ჩემთვის უმთავრესი იყო“, - ამბობს მარკი.

წყარო: **www.zooclub.ge**

AERION SKYRANGER - დრონი ყვამლის გასაქრობად

როგორც წესი, როცა დიდი ხანძარი ჩნდება, აალების ადგილი იმდენად დაკვამლიანებულია, რომ რამის დანახვა პრაქტიკულად შეუძლებელია. ამის მიუხედავად, მანჩესტერის სახანძრო სამსახურმა სიტუაციიდან გამოსავალი იპოვა. მომცრო უპილოტო საფრენ აპარატზე, ე. წ. „დრონზე“ მიმაგრებული ინფრაწითელი კამერის გამოყენებით მეხანძრეთა ბრიგადას კვამლის მიღმა დანახვაც შეეძლება.

Aerion SkyRanger - 2.5 კგ წონის კვადროკოპტერია, რომელიც 40 წუთის განმავლობაში ნახევარ კილომეტრზე მეტი მანძილის რადიუსში დაფრინავს. დრონს ასევე შეუძლია სამ კილომეტრზე მეტ სიმაღლეზე აფრენა (თუმცა ფრენის მაქსიმალური სიმაღლე პროგრამულად 120 მეტრია) და ეს ყველაფერი ნებისმიერი ამინდის პირობებში, ძლიერი (13,5 მ/წმ) ქარის გარდა. ის იმართება პლანშეტის მეშვეობით, რომლის დისპლეიზეც რეალურ დროში გადმოიცემა ვიდეო, რომელსაც დრონზე მიმაგრებული ინფრაწითელი კამერა იღებს.

მანჩესტერელი მეხანძრეები უკვე მიეჩვივნენ დრონს და მისი გამოყენებაც დაიწყეს. მნიშვნელოვანია, რომ ასეთი დრონები მხოლოდ პროფესიონალების მიერ გამოიყენება - ამერიკაში იყო შემთხვევები, როცა ტყის ხანძართან ბრძოლისას მოყვარულები იყენებდნენ დრონებს, რითაც ხელს უშლიდნენ პროფესიონალ მეხანძრეებს.

წყარო: www.hi-news.ru

რობოტი ჰიცით

აშშ-ს შტატ კალიფორნიაში რობოტმა ახალგაზრდა მამაკაცი გადაარჩინა, რომელიც თვითმკვლელობის მიზნით ხიდიდან მდინარეში გადახტომას აპირებდა. მამაკაცი ხიდის მოაჯირზე იდგა დანით ხელში და ყველას აფრთხილებდა არ მიკარებოდნენ და არც მოლაპარაკების დაწყება ეცადათ. მაშინ პოლიციელებმა, აუდიო-ვიდეო ტექნიკით აღჭურვილ დრონზე პიცა დაამაგრეს და მისი მიმართულებით გაუშვეს. გაოცებული მამაკაცი დიალოგზე დათანხმდა და მოაჯირიდან ჩამოვიდა. ადგილზე იმყოფებოდნენ სამედიცინო ბრიგადები, რომლებმაც მას სათანადო ფსიქოლოგიური დახმარება გაუწიეს.

უზარმაზარი კომპოზიცია სახელწოდებით - „მოქცევა"

ლონდონში, მდინარე ტემზაში, განათავსეს უზარმაზარი სკულპტურული კომპოზიცია, რომელიც დღეში ორჯერ აოცებს და შიშითაც კი აღავსებს მნახველს.

მდინარის მოქცევის დროს სკულპტურა წყლითაა დაფარული, ხოლო მიქცევისას, წყლიდან ნელ-ნელა აპოკალიფსის ოთხი მხედარი წამოიმართება, რომლებმაც მათი შემქმნელის - ჯეისონ ტეილორის თქმით, უნდა დააფიქრონ მნახველი კლიმატის ადამიანის მიერ გამოწვეულ კატასტროფულ ცვლილებებზე.

ფიგურები ვოკსჰოლსის ხიდთან, ბრიტანული პარლამენტის მოპირდაპირე მხარესაა განლაგებული. ცხენებს თავების ადგილას ნავთობსაქაჩი ნასოსები აქვთ, რაც სიმბოლურად ჩვენს პლანეტაზე ნავთობპროდუქტების წვის უარყოფით შედეგებს გამოსახავს. მხედრები ნავთობმაგნატებს განასახიერებენ, ხოლო ბავშვები კი მომავალ თაობას, რომელსაც მომავალში, დღეს ჩადენილი ეკო დანაშაულისთვის პასუხისგება მოუწევს.

უზარმაზარი კომპოზიცია სახელწოდებით „მოქცევა" გამიზნულია იმისთვის, რომ მნახველი მუდმივად დააფიქროს ეკოკატასტროფების სავალალო შედეგებზე.



წყარო: www.ochevidets.ru

ხანძრები, გამომწვევი მიზეზები და შედეგები

ქალაქი ცენტრალია (აშშ, შტატი პენსილვანია) 50 წლის წინ მომხდარი მიწისქვეშა ხანძრის გამო მიტოვებული აღმოჩნდა. ხანძარი მიტოვებულ შახტებში არსებული ნაგვის დაწვამ გამოიწვია. ნაგავი მეხანძრეებმა დაწვეს და მერე ჩააქრეს კოცონი, მაგრამ ცეცხლი ბოლომდე არ გამქრალა, ისევ გაღვივდა და მეზობელ შახტებზე გავრცელდა. მიწის ნაპრალებიდან კვამლმა და ჭვარტლმა დაიწყო დენა და ქალაქის მაცხოვრებლები იძულებულები გახდნენ ტერიტორია დაეტოვებინათ.

მხოლოდ 2004 წელს მოხერხდა ხანძრის ჩაქრობა ჩინეთში, ლუხუანგოუს ნახშირის საბადოზე. ხანძარი 130 წლის განმავლობაში მძვინვარებდა და წელიწადში დაახლოებით 2 მილიონ ტონა ნახშირს წვავდა.

„ჯოჯოხეთის კარიბჭე“, როგორც მას ადგილობრივი მოსახლეობა უწოდებს, თურქმენეთის პატარა ქალაქ დარვაზთან ახლოს მდებარეობს. 35 წლის წინ, გეოლოგების ჯგუფმა ამ ტერიტორიაზე ბუნებრივი აირის მოსაპოვებელი სამუშაოები დაიწყო. მოულოდნელად შეხვდათ მიწისქვეშა გამოქვაბული, რომელიც სავსე იყო მომწამლავი აირით. გეოლოგებმა ცეცხლი წაუკიდეს აირს იმ იმედით რომ რამდენიმე საათში იგი თავისით ჩაქრებოდა.

მას შემდეგ 35 წელი გავიდა და აირი კვლავ იწვის.

ადრე, სასამართლოში აღძრული საქმის მასალები თუ დაიკარგებოდა ან განადგურდებოდა ხანძრის შედეგად, დამნაშავისთვის ბრალის კანონიერად წაყენების უფლება აღარ ჰქონდათ და ამბობდნენ, რომ საქმე „დაიწვა“. საქმეები ხშირად „იწვებოდა“ - ან სასამართლოს ხის შენობების, ან არქივების მიზანმიმართულად დაწვის გამო (რათქმაუნდა ქრთამის საფასურად).

1776 წელს, 16 წლის ფრანგ ჟან ბატისტ მურონს 100 წლის და 1 დღის ვადით კატორღა მიესაჯა ხანძრების სერიის მოწყობის გამო. 1876 წლის ნოემბერში, მან ციხე ღრმა მოხუცებულმა დატოვა და რეკორდი დაამყარა როგორც ადამიანმა, რომელმაც ბოლომდე მოიხადა ყველაზე ხანგრძლივი სასჯელი.

ზარები 911-ში...

ოპერატორი: 911 გისმენთ! რით შეგვიძლია დაგეხმაროთ?

ინიციატორი: მინდა გაცნობოთ, რომ ჩემი სახლი ირყევა.

ოპერატორი: დიახ, ბატონო, მიწისძვრა იყო. დაშავდა ვინმე?

ინიციატორი: გასაგებია. აი, რატომაც ირყეოდა სახლი. კარგი, არაუშავს.

ოპერატორი: 911 გისმენთ! რით შეგვიძლია დაგეხმაროთ?

ინიციატორი: მე ცუდი ბიჭი ვარ.

ოპარატორი: დიახ, მართალი ბრძანდებით. თქვენს სახლთან ახლა პოლიციის ეკიპაჟია. მშვიდობიან დღეს გისურვებთ.

ოპერატორი: 911 გისმენთ! რით შეგვიძლია დაგეხმაროთ?

ინიციატორი: მიშველეთ, თქვენი დახმარება მჭირდება, სასწრაფოდ!

(ინიციატორმა გათიშა, ოპერატორი ცდილობდა დაკავშირებას, მაგრამ უშედეგოდ. შესაბამისი სამსახურები გაიგზავნა, პოლიციელებს ზარის ინიციატორმა გაუღო კარი და სააბაზანოში წაიყვანა)

პოლიციელი: რა ხდება? რაში დაგჭირდათ პოლიციის დახმარება?

ინიციატორი: იცით, ჩემი ტუალეტი გაჭედილია. მისი შეკეთება მჭირდება.

პოლიციელი: ჩვენ ტუალეტებს არ ვაკეთებთ. თქვენ სანტექნიკოსი გჭირდებათ.

ინიციატორი: მე ტუალეტი მჭირდება, თანაც სასწრაფოდ!

წყარო: www.notalwaysright.com

გახსოვდეთ!

1 ზარი = 3 დახმარება
24/7
112
112
როცა წამები გადამწყვეტია...
www.112.ge
www.facebook.com/112.ge
www.kids.112.ge



შსს სსიპ – 112

ვაშლიჯვრისა და ნუსუბიძის
მიკრორაიონების დამაკავშირებელი
ავტობანი

www.112.ge

pr@112.ge